

კორნელი კეკელიძე

ეტიუდები

ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან

IV

სტალინის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

თბილისი

1957

VI

კომენტარები „აბდულმესიანის“ ზოგიერთი ტაეპისა*

(მეოცე საუკუნის გამოცემათა გამო)

კლასიკური ხანის ხოტბითი ჟანრის ერთ-ერთი ნაწარმოები, რომელსაც „აბდულმესია“ ეწოდება, მეტად რთული თხზულებაა და თან გასაგებადაც ძნელი, უფრო ძნელი, ვიდრე ანალოგიური ნაწარმოები იმავე ხანისა „თამარიანია“. ასეთი ყოფილა იგი იმ, დროის მწიგნობართათვისაც, რა დროიდანაც მისი ნუსხები იჩენენ თავს, სახელდობრ მეთვრამეტე საუკუნეშიაც. ეს ჩანს თუგინდ იმ უამრავი შეცდომა-დამახინჯებიდან, რომლებიც გადაწერის პროცესში გაუგებრობის ნიადაგზეა აღმოცენებული. აკად. ნ. მარს, რომელმაც 1902 წ. მოგვცა პირველი მეცნიერული გამოცემა ამ ნაწარმოებისა¹, დიდი შრომა გაუწევია მისი ტექსტის აღდგენისა და შინაარსის გააზრების მიზნით, მაგრამ ყველა სიძნელე ამ შემთხვევაში ვერც მას გადაულახავს. ნ. მარსის გამოცემის შემდეგ დასახელებული თხზულება რამდენჯერმე გამოიცა (მ. ჯანაშვილი² და ს. კაკაბაძის³ მიერ), მაგრამ ნაჩვენები მიმართულებით მაინცდამაინც მნიშვნელოვანი ნაბიჯი ამ გამოცემებში არ გადადგმულა წინ. თხზულების რაობის გასათვალისწინებლად საჭიროა ზედმიწევნითი კომენტარები ისტორიული⁴, კულტურული, გრამატიკული, ლექსიკური და, თუ გნებავთ,

* დაბეჭდილია „ლიტერატურულ ძიებანში“. III, 1947

¹ Древнегрузинские описцы, Тексты и Разыскания IV.

² ორი გამოცემა - 1929 და 1922 წლებისა; ვსარგებლობთ 1920 წლის გამოცემით.

³ ორი გამოცემა - 1913 და 1937 წლებისა; ვსარგებლობთ 1937 წლის გამოცემით.

⁴ ისტორიული რეალიებისათვის სათანადო ანგარიშის გაწევა შეუძლებელს გახდიდა იმის მტკიცებას, რომ, რადგანაც ხოტბაში ნათქვამია - გვრიტთა მართვისა თვარ, აქვს მართვისა თქვენებრ სურვილი მეუღლობისა) (62. 1), იმაში შექებული არიან თამარ მეფე და დავით სოსლანი. ავიწყდებათ, ერთის მხრით. თამარის სიტყვები დავითთან შეუღლების წინ: „არაოდეს ყოფილა გულსა ჩემსა წადილი ქმროსნობისა და ქორწინებისა, არც პირველ და არცა აწ, თუმცა იყო ვინმე მკვდრი საყდრისა ამის ჩემისაჲ“ (ქართ. ცხოვრება, გამოცემა **ბროსესი** 292, შეად. კ. კეკელიძე, ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 89). მეორე მხრით, ის გარემოება, რომ „მეუღლობის სურვილსა“ და ოჯახური

პალეოგრაფიული ხასიათისა. დაკვირვებასა და ანალიზს თხოულობს თვითეული სტროფი, თვითეული ტაეპი, თვითეული სიტყვა, თვითეული საკუთარი სახელი ნაწარმოებისა, უამისოდ ჩვენ თავიდან ვერ ავიცდენთ სავალალო შეცდომებსა და პირდაპირ საოცარ თეორიებს, რომელნიც ბლომად ჩნდებიან

#57

„აბდულმესიანის“ გარშემო. მე არაერთხელ შევხებივარ ამ ნაწარმოებს სხვადასხვა მიზნითა და მიდგომით, ის ამთავადაც, მიზიდავს მე, მხოლოდ როგორც კომენტატორს; მინდა, მეოცე საუკუნის გამოცემებთან დაკავშირებით, განვიხილო რამდენიმე ტაეპი ხოტბისა და მათი მიხედვით გავითვალისწინო მდგომარეობა ტექსტისა ამ გამოცემებში, აგრეთვე ხარისხი მისი გაგებისა და ათვისების მკვლევართა მიერ.

1

აქვს მას ტრიონი სანატრიონი საწყისისაგან სამოსად გარედ,

აწ ესე ლომი, თვით ე სელომი, მისთვის აღეგო კეთილ სახმარედ.

(21,²⁻³)

ხოტბის გამომცემელნი და კომენტატორები ფიქრობენ, რომ სიტყვებში „ესე ლომ“ იგულისხმება მეფე-მამაკაცი, დავით აღმაშენებელი ან დავით სოსლანი. მართლაც, მ. ჯანაშვილს (გვ. 42) დავით სოსლანის სასარგებლოდ მოჰყავს „თამარიანის“ სიტყვები „გტრფიალობს ლომო აბესალომი, ეფრემის ძირთა ვის გხვდეს თებანი“ და ამაზე, ეჭვი არაა, დამყარებული წაკითხვა ერთი შე-19 საუკუნის ხელნაწერისა (A 656): „აწ ესე ლომი, აბესალომი. შემცდარი გაგებაა. - მართალია, დავით სოსლანს ხშირად „ლომი“ ეწოდება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველგან, სადაც ხოტბაში „ლომია“ დასახელებული, უეჭველად სოსლანი იგულისხმება. ზემომოყვანილი ტაეპებიდან,

ცხოვრებისათვის ზრუნვას არ იყო მოკლებული არც დავით აღმაშენებელი, როგორც ამას ვტყობილობთ, თუგინდ, მისი ცნობილი „ანდერძიდან“ (საქართვ. სამოთხე, გვ. 513).

პირველის მიხედვით, ხოტბაში შექმნულ გმირს აქვს საწმისისაგან შემზადებული ძვირფასი ტანისამოსი, მეორე ტაეპით კი,⁵ რომელიც უშუალო გაგრძელებაა პირველისა, მას თითქოს ჰყავს ქმარი-ლომი, დავით სოსლანი. ერთი სიტყვით, მეხოტბე თამარის ძვირფას ტანისამოსთან დაკავშირებით თითქოს იგონებს მის ლომ-ქმარს, დავით სოსლანს. ამგვარი დაკავშირება ტანისამოსისა და ქმრისა რაღაც უხერხულობას წარმოადგენს; ეს მეხოტბისაგან არაა მოსალოდნელი. მეორე მხრით, „ესე ლომი“ პოეტის სიტყვით. აგებულია (აღეგო), აშენებულია იმისათვის, რომ ის კეთილად მოიხმარონ (კეთილ სახმარედ), მაშასადამე, ის არაა ადამიანი, დავით აღმაშენებელი თუ სოსლანი, არამედ რაღაც უსულო საგანი, შენობა! „ლომი“ აქ ნიშნავს არა ადამიანს, არამედ „ლომის ზოდიაკოს“, „ლომის ეტლს“, ესე იგი, სახლს, სასახლეს. ზოდიაქოს საშუალო საუკუნეთა ასტროლოგები თორმეტ „სახლად“ აწ „ეტლად“ ჰყოფდნენ, რომელთაგან ერთს „ლომი“ ერქვა⁶ ეს ტაეპი პარალელს პოულობს „თამარიანში“; სადაც ვკითხულობთ: „ზევსმან მზედ გიცნა, სამყოფნი გიქმნა ლეონის ეტლთა“ (IX, 3). სიტყვა „ლომი“ ზოდიაქოს გაგებით „ეტლის მიუმატებლადაც იხმარება ხოლმე; მაგალითად, *ვეფხისტყაოსანში* ვკითხულობთ: „ჰგვანდა ოდეს

#58

ლომსა შეჯდეს მზე, მნათობთა უკეთესი“ (1201); თვით შავთელი: „ივლისის მზემან ზედ ლომთა ჯდომით“ (10, 1).

ტაეპის აზრი ასეთია: „ესე ლომი“ - ლომის ზოდიაკო ანუ ეტლი, იგულისხმება სასახლე, აგებულია, აშენებულია მისთვის, რათა მან კეთილად მოიხმაროს იგი ასეთი გაგება სრულიად ბუნებრივად ხდის ტანისამოსის შექმნიდან სასახლის შექმნაზე

⁵ მ. ჯანაშვილის ინტერპრეტაციას მხარს უჭერს პროფ. ა. ბარამიძეც (ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I², 127-128; 1945 წ.).

⁶ პოეტი ლაპარაკობს „ლომის“ და არა სხვა ზოდიაკოზე იმიტომ, რომ ქართულ პოეზიაში მეფის სიდიადის და ძლიერების სინონიმად ჩვეულებრივ ლომს ასახელებენ.

გადასვლას.⁷ მისი სისწორე იქიდანაც ჩანს, რომ ტაეპში არა მარტო მაჯამური მიზნით, არამედ ანალოგიისათვისაც მოყვანილია „სელომი“. სელომი არ არის „სილოამის საბანელი“, როგორც ნ. მარს ეგონა. სელომი არის სახელი ქალაქისა, სადაც ერთ სახლში მოთავსებული იყო „ტამარი ღმრთისა“ (მსაჯ. XVIII, 31) ანუ „კარავი საწამებელი“ (იხ. ნაკ. XVIII, 1), ესე იგი, ებრაელთა წარმოდგენით და რწმენით, თვით ღმერთი და უფალი მათი იაჰვე. აზრი ანალოგიისა ასეთია: როგორც ებრაელთა მეუფის იაჰვეს სამყოფად მიჩნეული იყო არა მარტო სახლი, სელომში აგებული, არამედ „თვით სელომიც“, ისე ხოტბაში შექცეულის ქართველი მეფის სამყოფად და საცხოვრებლად აგებულია „ლომის ზოდიაკო“ ან სასახლე და თვით ის ქალაქიც, სადაც ეს სასახლე დგას.

2

აფთონს ბრძავს ათენს, ესრეთ გაათენა წყვდიადსა ნათლად სხივნი მზისანი

(23,¹)

ამ ტაეპში განმარტებას თხოულობს ორი სიტყვა: „აფთონს“ და „ათენას“. აფთონი, ნ. მარის სწორი გაგებით, არის ბერძენთა გამოჩენილი სოფისტი და რიტორი აფთონი; სახელი აფთონი სოფისტისა ალბათ კარგად იყო ცნობილი შავთელისათვისო, ამბობს ის (стр. 100,-101, прим. 2). რაც შეეხება „ათენს“ მას ჯერ უნდოდა იმაში დაენახა „ათი ენა“ მაგრამ მერე, უფრო შესაძლებელი აღმოჩნდა მისთვის ამოეკითხა იმაში ქალ. ათინა, resp. ათენი. ამისდა მიხედვით მან შემდეგი თარგმანი მოგვცა: დავით აღმაშენებელი „ებრძვის (состязается) აფთონს⁸ ათინაშიო (იქვე).

პოეტს, რასაკვირველია, შეეძლო, თავისი მიზნებისათვის, გაეკამათებია

⁷ ასე იქცევა პოეტი სხვა შემთხვევაშიაც: 38-ე სტროფში ლაპარაკობს შესამოსლის შესახებ, აქედან 39-ე სტროფში გადადის სასახლის („სრა“) შექცევაზე.

⁸ აკად. შ. ნუცუბიძის თარგმანით «спор шёл об Афтоне» და არა «с Афтоном». (Шавтели. Абдул-Мессия, перевод с грузинского, 1942 г. стр. 62).

ავთონთან დავითი, მაგრამ არავითარი საჭიროება არ იყო ამისათვის ის უეჭველად ათინაში გადაეყვანა, მით უმეტეს. რომ ავთონს, რომელიც ანტიოქიაში დაიბადა აღიზარდა და მოღვაწეობდა, ათინასთან. კავშირი არ ჰქონია. ეს ერთი. მეორე: მართალია „ათენი“ როგორც ნ. მარი ამბობს (იქვე), ზუსტი გადმოცემაა ბერძნული Ἀθῆναι მაგრამ ასეთი ფორმით ამ სახელს, წარმოიდგინეთ, თვით შავთელიც კი არ იცნობს, მისთვის ჩვეულებრივი ყოფილა „ათინა“ მაგალითად: „ათინელთ ძენო“ (2,1, და არა „ათენელთ ძენო“. მესამე: ასეთი გაგებისას ძნელია ტაეპის ორ ნაწილს შორის მოხდენა იმ შედარებისა, რომელსაც გულისხმობს სიტყვა „ესრეთ“ მართლაც, აი რა გამოდის: „დავითი ებრძვის, ეკამათება ათინაში ავთონს, მსგავსად ამისა („ესრეთ“) მზის სხივები გაანათებენ ბნელს და აქცევენ მას ნათლად“. ასეთი შედარება, ვფიქრობ, უაზრო და შეუძლებელია.

მ. ჯანაშვილს ავთონი გაუგია როგორც საჭე, სამეფოს თუ ნავთ სამართი, და მოუცია ტაეპის ასეთი ინტერპრეტაცია: ხოტბის გმირი მთელს ღამეს ათენებს სამეფო საჭის მომართვისათს ზრუნვაშიო (გვ. 42). ასეთი ინტერპრეტაცია, რომელიც ტექსტიდან არ გამომდინარეობს, უფრო მეტ გაუგებრობას ბადებს, ვიდრე პირველი. მაშ როგორ უნდა გვესმოდეს ეს ტაეპი?

იმის საჩვენებლად რომ მისი გმირი უაღრესად ბრძენი და განსწავლული კაცია, პოეტი მას გააკამათებს გამოჩენილ ბერძენ ფილოსოფოსს ავთონს („ავთონს ჰბრძავს“, აქ მძიმე უნდა დაისვას); შედეგი ამ კამათისა არის ის, რომ მისი გმირი ავთონს „ათენს“. „ათენს“ არის არა გეოგრაფიული ტერმინი (გეოგრაფიულ ტერმინად მიუღია ის შ. ნუცუბიძესაც გვ.123), არამედ მესამე პირი იმავე ფესვის ზმნისა, როგორც მომდევნო „გაათენს“. მსოლოდ შემოკლებული, როგორც ნ. მარი სხვა შემთხვევის გამო ამბობს (გვ. 85), ფორმით, სრული ფორმა იქნება - ათენებს, ესე იგი - ანათლებს. სინათლეს ჰვენს. აქედან ნაწარმოებია *ვეფხისტყაოსნის* (493) და *თამარიანის* (I, 25,.1) „მთენი“. ხოტბის ობიექტი ეკამათება ავთონს: როგორც ის ამ კამათში სინათლეს ჰვენს ავთონს, იგულისხმება - ანათებს და აშუქებს მისთვის სადავო და საცილობელ საკთიხს, ისე მზის სხივები ანათებენ და ნათლად აქცევენ წყვდიადს ან ბნელს

(„ესრეთ გაათენს წყვდიადსა ნათლად სხივნი მზისანი“).

ვინაიდან ხოტბის ობიექტად ამ ტაეპში დავით აღმაშენებელი ჩანს, არ შეგვიძლია არ მოვიგონოთ მისი უნებლიე მონაწილეობა პაექრობაში სომეხთა ვარდაპეტ-წინამძღვრებთან, რომელნიც „აზმნობდეს თავთა თვსთა მიწევნად თავსა ყოვლისა სწავლულებისა და მეცნიერებისასა.⁹ ამ პაექრობაში დავითმა იმდენად ნათელყო საცილობელი საკითხები, რომ მისი მოწინააღმდეგენი იძულებულნი გახდნენ გულახდილად ეთქვათ მისთვის: „ჩუენ მეფე მოწაფე გუეგონე მოძლუართა თქუენტა, გარნა, ვითარ ვხედავთ, შენ სამე ხარ მოძლუარი მოძლუართა, რომლისა ბრჭალსა ვერ მიმწუდარ არიან ეგე მოძლუარსაგონებელნი“¹⁰.

3

ხარ კეისართ ხარკე ისარი სიმდიდრით ლალი ჯიმშედს მფლობელი

(36,1)

ეს ტაეპი ერთ ერთი ბუნდოვანი ტაეპია აბდულმესიანში, აკად. ნ. მარი, რომელიც ბეჭდავს ამ ტაეპს ზემომოყვანილი სასით, მის განმარტებას არ იძლევა. აქ გასარკვევია, პირველ ყოვლისა, როგორ უნდა დაიწეროს ომონიმურ-მაჯამური სიტყვები: „ხარ კეისარი, ხარკე ისარი“ თუ „ხარკე ისარი,

#60

ხარ კეისარი?“ ეს ნათელი გახდება მას შემდეგ, რაც გაირკვევა აზრი სიტყვებისა „ხარკე ისარ“, რომელთაც თავს ვერ დავახწევთ, ასე წავიკითხავთ მთელს ტაეპს, თუ ისე.

მკვლევარებს ეს სიტყვები („ხარკე ისარი“) გაუგიათ ასე: ხარკი დაადევი, გადაახდევინე ისარსო; მაგრამ ეს ხომ მეორე გაუგებრობაა: როგორ შეიძლება ადამიანმა ისარი ხარკოს, ესე იგი - ხარკი გადაახდევინოს მას? ამ გაუგებრობის

⁹ ქართლის ცხოვრება: ანა დედოფლისეული, გვ. 229-230, მარიამისეული გვ. 325; 327.

¹⁰ იქვე.

თავიდან ასაცილებლად მ. ჯანაშვილი სიტყვას „ისარი“, ორ ნაწილად ჰყოფს: „ის არი“ (ასე იქცევა ს. კაკაბაძე) და შემდეგ აზრს პოულობს: „ის, ვისაც შენ ხარკი დააღვეი არის (-არი) სიმდიდრით ლალი“... (გვ. 18, 45). დაახლოებით ასე მესმოდა ეს ადგილი მეც: „ხარკე ის [, რომელიც) არის სიმდიდრით ლალი“... (ქართული ლიტერატ. ისტორია II², 246). მაგრამ სიტყვის ასეთი დანაწილებისას უხერხულობას ჰქმნის გამოტოვება სავარაუდო სიტყვისა „რომელიც, ვინც“.

ნ. მარის აზრით „ისარი“, ამ შემთხვევაში არის დამახინჯება რომელიღაც პირის სახელისა, „ისარი“ ამბობს ის, - собственное имя (სტრ. 102), несомненно в ისარი имеем имя какого-то лица (სტრ. 99). ასეთი დასკვნა აუცილებელია, თუ სიტყვაში „ხარკე“ მართლა ხარკს, ჩვეულებრივი გაგებით, გადასახადს გამოსაღებს ვივარაუდებთ. ნამდვილად კი ჩვენ აქ გვაქვს ბრძანებითი თუ აორისტული ფორმა ზმნისაგან „ხარკობა“ (საბათი) ან „ხარკვა“ (ჩუბინაშვილით). ძველ ქართულ მწერლობაში გვხვდება შემდეგი ფორმები ამ ზმნისა: მეხარკა, ვიხარკოთ; დაახლოებით მეთერთმეტე საუკუნიდან იმაში ჩნდება მ: ვიმხარკე, ვემხარკები, ემხარკოს, ვემხარკნეთ, მხარკველი, უამარკესად და სხვ. „ხარკობა“ საბათი ნიშნავს ცდილობას, უფრო ფართოდ კი მუშაობას, შრომას, მოღვაწეობას, რუდუნებას. გარჯას, მომსახურებას, გამოყენებას. ამრიგად, წინადადებაში „ხარკე ისარი“ ჩვენ საქმე გვაქვს არა საკუთარ სახელთან არც თუ სიტყვებთან „ის არი“ არამედ ჩვეულებრივს „ისართან“. „ხარკე ისარი“ ნიშნავს: ამუშავე, შრომა-ჯაფა მიაყენე, ავარჯიშე, გამოიყენე, მოიმსახურე, მოიხმარე ისარი. ეს ჩანს მომდევნო ტაეპიდანაც: „მოსიმახოსაო-მოიმახოსა¹¹ მახვილი თქვენი მტერთა მწყობელი, რაც ნიშნავს: მოინახოს, ესე იგი, მჭრელი, ბასრი გახდეს მტერთა მწყობელი, თქვენი მახვილი, მსგავსი გამოჩენილის ებრაელი მეომრის მოსიმახოსის ისრისა.

თუ ომონომიურ-მაჯამურ სიტყვებს ისე დავალაგებთ, როგორც ეს წარმოდგენილია დღეს არსებულ გამოცემებსა და ცნობილ ხელნაწერებში,

¹¹ ნ. მარს ეს სიტყვა მოუცია შეუსწორებელი სახით - „მოს იმახოსა“, არას ვამბობთ მ. ჯანაშვილის ყოვლად შეუწყნარებელ წაკითხვასა და გაგებაზე (გვ. 18, 44).

სახელდობრ: „ხარ კეისარი“, „ხარკე ისარი“, გამოვა, რომ ბოლო სიტყვები ტაეპისა „სიმდიდრით ლალი, ჯიმშედს მფლობელი“ არის განმარტება სიტყვისა „ისარი“, რაც აბსურდია (ისარი, სიმდიდრით ლალი, ჯიმშედს მფლობელი). ნამდვილად კი ისინი კავშირში არიან სიტყვა „კეისართან“. აქედან, მაშასადამე, ტაეპი ასე უნდა გავიგოთ: „მოიხმარე ისარი, შენ ხარ კეისარი (მეფე), სიმდიდრით ლალი, ჯიმშედს მფლობელი“. რადგანაც ადამიანის სახელით ადგილის აღნიშვნა ჩვეულებრივია როგორც ძველად, ისე ახალ დროშიც,

#61

სიტყვა „ჯიმშედს“ ჩვენ შეგვიძლია გავიგოთ როგორც: „ჯიმშედის ქვეყანაში“, ესე იგი სპარსეთში. პროფ. ა. ბარამიძე კითხულობს არა „ჯიმშედს“ მფლობელი“, არამედ „ჯიმშედ მფლობელი“¹². მიუხედავად იმისა, რომ ასეთი წაკითხვა შემოუნახავს მხოლოდ ორ ხელნაწერს, ისიც მეცხრამეტე საუკუნისას (H 773; S 1516), ეს უკანასკნელი უფრო სწორი უნდა იყოს, ვინაიდან პოეტს შეეძლო თავისი გმირი შეედარებია როგორც „კეისართან“ (ბიზანტიის იმპერატორთან), ისე ჯიმშედთან (ცნობილს სპარსეთის მეფესთან). ამისი საფუძველი მას ჰქონდა: თამარ მეფისათვის მას შეეძლო ეწოდებია „კეისარი“, რადგანაც 1204 წელს საკეისროს ან ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში მან დააარსა ტრაპიზონის იმპერია, რომელიც საქართველოს პოლიტიკურ სფეროში მოექცა; შეეძლო მას ეწოდებია მისთვის „ჯიმშედ მფლობელი“, რადგანაც 1210 წელს ის გახდა „მფლობელი“ სპარსეთის სამეფოს დიდი ნაწილისა. თუ ეს გარემოება გვეჩვენა მხედველობაში, ჩვენ წაგვერთმევა საბუთი განვაცხადოთ: „ჯიმშედზე მითითება არ გამოდგება აბდულმესიანის დათარიღებისათვის“¹³.

ამრიგად, სარკვევი ტაეპი ბოლოსდაბოლოს შემდეგ სახეს ღებულობს:

¹² ა. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერ. ისტორიიდან I², 117, 153.

¹³ იქვე, I², 153.

ხარკე ისარი, ხარ კეისარი,
სიმდიდრით ლალი ჯიმშედ მფლობელი.

4

ატიკულისა პატრიკულისა ხედვის უფალ ხარ სიწლოთ სიხშოსა (53,¹)

პოეტი ეუბნება თავის გმირს: შენ დაწვრილებით (სიწლო) და ღრმად (სიხშო-მსხვილად) დაუფლებიხარ ატიკულსა და პატრიკულ ხედვას, ესე იგი *თეორიას* (θεωρία, θεωρία), მოძღვრებას, სწავლას, შეხედულებასო. რა არის „ატიკული“ და „პატრიკული“?

ნ. მარს „ატიკული“ გამოჰყავს გეოგრაფიული სახელიდან „ატიკა“ (οбласть Греции) ხოლო „პატრიკული“ სიტყვისაგან „პატრიკი“ (ბერძნ. πατρικιος), патриций, патрик; პატრიკული - патрицианский (одописцы, стр. რდე-რნთ). მ. ჯანაშვილით - „ატიკული“ არის შვენიერი, მაღალგანათლებული (გვ. 48), ს. კაკაბაძით, „პატრიკული“ (ბერძნ.) - პატრიკით(პატრიკის) ანუ მთავრის ნაქონი¹⁴. ერთი თვალის გადავლებაც კი საკმარისია იმის სათქმელად, რომ აქ არ შეიძლება ვიგულისხმოთ არც ატიკური საკუთრივ, გინა თუ „მშვენიერი“ ზოგადად მოძღვრება, არც პატრიკისა და პატრიკიული შეხედულებანი. შ. ნუცუბიძე შენიშნავს: Аткикиец и патрикиец – у поэта наименование философа века Прокла. Эти названия, в таком сочетании почерпнуты поэтом из сочинения Иоанна Петрици¹⁵. იოანე პეტრიწი მართლაც ხმარობს სიტყვას „ატიკული“ მაგრამ ამით აღნიშნავს არა მარტო

#62

პროკლეს¹⁶, არამედ საზოგადოდ „ბერძნულსაც“ (ატიკურად)¹⁷. ხმარობს ის

¹⁴ იოანე შავთელი, აბდულმესიანი, გვ. 56, გამოცემა 1937 წ.

¹⁵ Шавтели. Абдул-Мессия, перев. с грузинского, стр. 71, 1942 г.

¹⁶ იოანე პეტრიწის შრომები II, 209-210-211.

¹⁷ იქვე, 34, 38.

სიტყვასაც „პატრიკული“: „ომიროს ვიდრემე მბერველობაჲ ცეცხლებრივი თქუა პატრიკულისა თხისა სამად ზღაპრებულისა მხეცისათჳს¹⁸“. პროფ. ს. ყაუხჩიშვილი პეტრიწის შრომის გამოცემის შესავალში, მოიყვანს რა ზემო ამოწერილ ცნობას ომიროსისას, შენიშნავს: ნათელი სდება, რომ იოანე პეტრიწის სიტყვებზეა აგებული შავთელის 53 ოდა: „ატკულისა პატრიკულისა ხედვის უფალ ხარ სიწლოთ სიხშოსა“¹⁹. მაშასადამე, შავთელის „პატრიკული“ მასაც ბერძნული მითოლოგიის „პატრიკულ თხად“ აქვს გაგებული. ვფიქრობ, შავთელს არ ჰქონდა არავითარი საფუძველი პროკლე ფილოსოფოსისათვის „პატრიკული თხა“ ეწოდებია, გინა თუ თავისი გმირი „პატრიკული თხის“ მოძღვრების მცოდნედ გამოეყვანა.

აქ ჩვენ საქმე გვაქვს საშუალსაუკუნეებში მიღებულსა და გავრცელებულს, უფრო საეკლესიო მწერლობაში, ტერმინებთან. „ატკურ“ ხედვას ან მოძღვრებას უწოდებდნენ ზოგადად ძველ-ელინურ, წარმართულ ფილოსოფიას და მოძღვრებას, ხოლო „პატრიკული“ ეწოდებოდა ეკლესიის მამათა πατριკძ და არა πατριკძ სწავლას. ხოტბის ავტორი თავის გმირს ეუბნება: შენ მცოდნე ხარ როგორც წარმართული, ელინური, ისე ქრისტიანული, წმ. მამების, ფილოსოფიისა და მოძღვრებისაო.

5

ტყორცა ისრისა მიკვირს: ისრისა მერკვირისაებრ უსრულთ ჰკლენითა (80,3)

ასეა ეს იამბი მოცემული ნ. მარის გამოცემაში. ის გადაწერის პროცესში დამახინჯებულადა ჩანს; მის მეორე ნაწილში გაუგებარია, საკუთრ სახელს - მერკვირის, - რომ თავი დავანებოთ, სამი სიტყვა: ისრისა, უსრულთ, ჰკლენითა.

1. ისრისა. „ტყორცა ისრისა მიკვირს: ისრისა...“. შავთელს არ სჩვევია მაჯამაში ორჯერ ერთიდაიმავე მნიშვნელობის სიტყვის ხმარება. ნ. მარი მეორე შემთხვევაში ხედავს წარსულ დროს ზმნისაგან „სრესა“ (Одописцы, стр. რდმ); მაგრამ თუ აქ გვაქვს ზმნა „ისრისა“ – „გაისრისა“, ქვემდებარე უნდა იყოს „უსრულნი“ და არა „უსრულთ“

¹⁸ იქვე, 223.

¹⁹ იოანე პეტრიწის შრომები I. გვ.XL-XLI, შენიშნ. 5.

ჩემი აზრით, აქ უნდა იყოს არა „ისრისა“, არამედ „სისრისა“ – ნათესაობითი ბრუნვა სიტყვისა „სისრა“. რაც, საბას ლექსიკონით, ნიშნავს „სროლას“²⁰. ასეთი წაკითხვისას შენარჩუნებულია ნამდვილი მაჯამური წყობაც. ეს სიტყვა იშვიათი არაა ძველს ქართულ მწერლობაში, მაგალითად: „იწყეს ქვითა სისრაჲ მთავრისა და ერისა მისისაჲ“²¹ ის, როგორც ქვემოთ დავინახავთ, თვით შავთელსაც მოეპოება.

#63

2. „უსრულთ“. ასეთი სიტყვა, შინაარსის მიხედვით, სრულიად უადგილოა, ამით აიხსნება, რომ ერთ-ერთ ხელნაწერში (A 656) ის გადაუსწორებიათ როგორც „უსულთ“ რაც საქმეს ოდნავადაც ვერ შველის. ჩემის აზრით, აქ უნდა გვქონდეს „უსჯულთ“ (მომდევნო ტაეპში ეს „უსჯულონი“ სარკინოზებად არიან წოდებულნი), გადაწერის პროცესში გრაფიკულ ნიადაგზე მხედრული ჯ მიუღიათ რ-დ, აქედან კი წარმომდგარა „უსჯულთ“-ის მაგიერ „უსრულთ“.²²

3. „ჰკლენითა“. ამ სიტყვაზე საგანგებოდ შეჩერებულა ნ. მარი, რომელსაც იგი საბოლოოდ ზმნად მიუღია შემდეგი შენიშვნით: „ჰკლენითაедва ли является именной формой, хотя на это указывает родит. ისრისა, как будто определяющий первое слово“ (Одописцы, стр. 83, прим.). თუ მართლა აქ ზმნასთან გვაქვს საქმე, ის უნდა იყოს აორისტის მეორე პირი ან სიტყვისაგან „კლვა“, ან „კლება“. ერთსაცა და მეორე შემთხვევაში მის შემდეგ უნდა ყოფილიყო პირდაპირი ობიექტი „უსჯულნი“. მე მგონია, რომ „ჰკლენითა“. არის მხედრულ დამწერლობაში დამახინჯებული სიტყვა „ვლენითა“, როგორც ეს მოცემულია XVIII საუკუნის ერთ ხელნაწერში (H2069). „ვლენითა“ კი არის მოქმედებითი ბრუნვა სიტყვისა „ვლენა“, უკანასკნელი ექვივალენტია სიტყვისა „განწონება“, რაც თავის მხრივ „მორტყმას, განგმირვას“ ნიშნავს.

²⁰ ნ. მარი სცდება, როდესაც სიტყვას „სისრა“ სთარგმნის трепет-ად (стр. რმზ).

²¹ კ. კეკელიძე, კიმენი, ტ. II, გვ.32.

²² შავთელი მუდამ ხმარობს „სჯული“ (16,69, 72, 89) და არა „რჯულია“ ან „შჯული“.

ლეონტი მროველი ამბობს, რომ ჰაოსმა ნებროთს „სტყორცა ისარი და ჰკრა მკერდსა მისსა... და განვლო ზურგით“,²³ ბიბლიაში ნათქვამია: „განისრა იორამ შორის ბეჭსა მისსა და განვლო ისარმა შორის გულსა მისსა" (4 მეფ. IX, 24). შავთელს იგივე აზრი გამოთქმული აქვს სხვა ადგილას შემდეგნაირად: „ფულსა თვით სისრა მყის განაწონის“. (70,4).

ამ შესწორებათა შემდეგ ტაეპი შემდეგს სახეს მიიღებს: „ტყორცა ისრისა მიკვირს. სისრისა მერკვირისაებრ უსჯულო ვლენითა“ ეს ნიშნავს: მე მიკვირს ისრის ტყორცა, [გაკვირვებული ვარ აგრეთვე] სროლის საშუალები (სისრისა), მერკვირისებრ, უსჯულოთა ვლენით, ესე იგი, განგმირვა-განწონებით. გამოდის, რომ ისრის სროლასა და უსჯულოთა შემუსრვაში შავთელი თავის გმირს ვიღაც მერკვირს ადარებს. ვინაა ეს მერკვირი?

ნ. მართ ეს არის რომაელთა მითოლოგიის მერკური, ს. კაკაბაძით - მერკური, იუპიტერის შვილი, მჭევრმეტყველებისა და ვაჭრობის ღმერთი (გვ. 61); მ. ჯანაშვილით - ბერმენტა ჰერმესი, ზევსისა და მაიას შვილი, ვაჭრობისა და მჭევრმეტყველების ღმერთი (გვ. 53). ყოვლად შეუძლებელია, აქ ვაჭრობისა და მჭევრმეტყველების ღმერთი მერკური იგულისხმებოდეს: ვაჭრობის ღვთაებას რად ან როგორ გამოიყენებდა პოეტი ისრის საუკეთესოდ მსროლელის სინონიმად? წინა ტაეპის სიტყვები „წმიდათა თანა მომწერელითა“, - გვაფიქრებინებს, რომ ჩვენ აქ საქმე გვაქვს წმიდა მოწამე მერკვირისთან,

#64

რომლის ხსენება ეკლესიას დაუდვია, 24, 26 და 28 ნომბერს. ეს მერკვირი მის მარტვილობაში²⁴, რომელიც ეფრემ მცირის მიერ უნდა იყოს ქართულად

²³ ქართლის ცხოვრება ანა დედოფლისა, გვ. 4, მარიამ დედოფლისა, გვ. 5 შდრ. ამ სიტყვას ხალხური თქმა: „მუსრი გაავლო“.

²⁴ იხ. ლათინური თარგმანი მისი Migne, Patr. Graec. t. 116, col 269-276, ბერძნული - Delehaye H. – Les légends grecques des saints militaires, p. 234-258.

გადმოთარგმნილი, ცნობილია როგორც შესანიშნავი მსროლელი ისრისა და გულოვანი მეომარი. მის მარტვილობაში გადმოცემულია, რომ დეკიოზისა და ვალერიანეს დროს ბარბაროზი-სკვითები თავს დაესხნენ რომამლებს; გაჩაღდა მწვავე ომი, კრიტიკულ მომენტში. გამოჩნდა მერკვირი, რომელმან „ახოვნებითა განაპო ყოველი იგი განწყობილებად და ლომებრი აჩუენა მათ ზედა (მტრებზე) მიმართებად... აღეგზნა გულისწყრომითა, განკუეთა უ^აშირესი რაზმი სპათა მათთა და უმრავლეს რიცხვსა, რომელნი დაემთხუეოდეს, მოსრვიდა მათ... უკუეთუ ვინმე წარესისრის²⁵ ისარსა ანუ ლახუარსა მისსა, მეყსა შინა სიკუდილი შეემთხუეოდა“ (A 128, გვ. 400, 402). წმ. მერკვირი, როგორც გადმოცემულია აპოკრიფულს „ივლიანეს რომანშია“, ისრით შეიარაღებული გამოეცხადა იმპერატ. იოზიანეს ძილში და უთხრა: „ის სამაგელი ღორი (იგულისხმება იმპერ. ივლიანე განდგომილი) ამ ისრით იქნება განგმირული“ და კიდევაც იქნა განგმირული.²⁶ მაკარი რომაელის აპოკრიფულსავე რომანში ნათქვამია, რომ უსჯულოდ ივლიანე, განდგომილი ქრისტესაგან ღმრთისა ჩუენისა, მოიკლა წმიდისა მიერ ქრისტეს მოწამისა მერკვლესა ვედრებითა წმიდისა მამისა ჩუენისა ბასილი კესარიელისადათა და ბრძანებითა წმიდისა დედოფლისა მარადის ქალწულისადათა.“²⁷ შავთელი, რასაკვირველია, იცნობდა როგორც მერკვირის მარტვილობას, ისე დასახელებულ აპოკრიფულ რომანებს, ამიტომ მას შეეძლო მისი სახე გამოეყენებია თავისი გმირის დახატვისას. ეს არაა ერთადერთი შემთხვევა, როდესაც პოეტი თავის გმირს წმიდა მხედარს ადარებს, მეორე მაგალითს ქვემოთ ვაჩვენებ.

6

ქრისტეს სასძლოსა ვინმცაა სძლოსა, განწმედით ქმნილსა, გაბრწყინვებულსა! (95, 1)*

ასე გამოუცია ეს ტაეპი ნ. მარს; როგორც აქედან ჩანს, აგრეთვე მის მიერ მოცემული თარგმასიდანაც, - кто может превзойти христову жениха - მას სწორად ვერ გაუგია ამ

²⁵ საყურადღებოა აქ ეს სიტყვა - „წარესისრის“, მისი გამოძახილი უნდა იყოს ხოტბის, „სისრისა“.

²⁶ კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, 74.

²⁷ იქვე, გვ. 62, შეად. გვ. 50.

ადგილის აზრი.

1. „სასძლო“ жених არ არის жених ყოველგან და ყოველთვის, კერძოდ სასულიერო მწერლობაშიც, ნიშნავს „სიძეს“-ს; ერთ–ერთ საგალობელში ნათქვამია: „აჰა ესერა სიძე მოვალს შუაღამესა. – се жених грядет в полуночи

#65

წინასწარმა აზრმა, რომ ხოტბაში მხოლოდ დავით აღმაშენებელია შექებული, ათქმევინა განსვენებულ მეცნიერს ასეთი შეუსაბამობა.

2. თუ კონტექსტს გავითვალისწინებთ, აქ არავითარ „ჯობნასა“ და „ძლევაზე“ (превзойти) ლაპარაკი მოსალოდნელი არაა.

ამიტომ ვფიქრობ, რომ ტაეპი დამახინჯებულია გადაწერის პროცესში, თავდაპირველად უნდა ყოფილიყო: ქრისტეს სასძლოსა ვინმცა ასძლოსა.

რას ნიშნავს ეს, რა აზრი უნდა ჰქონდეს ასეთს წაკითხვას?

1. „სასძლო“ ახლა ესმის ზოგიერთს როგორც „საცოლე“ невеста; ნამდვილად ძველს მწერლობაში „სასძლო“ ნიშნავს სიძის სახლს, დარბაზს, ოთახს, რომელიც მას განკუთვნილი აქვს სძლისათვის“, ესე იგი - საცოლესათვის, რუსულად чертог брачный. მაშასადამე, მეხოტბეს მსედველობაში აქვს არა ადამიანი, არამედ საგანი, შენობა. აი შესაფერი ადგილები: „გამოვიდეს სძალი სასძლოდსაგან“ (იოველ II, 16), „სასძლოსა შინა დედათასა“ (ესთერ, II, 3) და სხვ. ერთ ერთს საგალობელში ნათქვამია: „სასძლოსა შენსა ვხედავ, მაცხოვარ, შემკობილსა, სამკაული არა მაქუს. რათა შევიდე; განაბრწყინვე ლამპარი სულისა ჩემისაჲ“ (შდრ. ხოტბის: „სასძლოსა განწმედილქმნილსა, განბრწყინებულსა“).

2. „ასძლოსა“ (ჩემი წაკითხვით) არის ზმნა სიტყვისაგან „სძალი“; უკანასკნელი ნიშნავს „საცოლეს“ და „სახლში მოყვანილს ცოლად ქალს“ невеста; ქება-ქებათა IV, 8, 9, 10, 11, 12, V, 1; ისაია 61, 10, 49, 18, იერემ. II, 32, VII, 34; იოველი, II, 16, იოან. III, 29, გამოცხად. XVIII, 23, XXI, 2, 9, და სხვ.). „ასძლოს“ (ახლა იტყვიან „არძლოს“) ისეა

ნაწარმოები, როგორც, მაგალითად, აშვილოს მას, აცოლოს და სხვ.

3. აზრი ტაეპისა, ჩემი წაკითხვით, ასეთია: ვინ შეიყვანს მას ქრისტეს სასძლოში სძლად, ვინ დაამკვიდრებს მას იქ, როგორც სძალს? რუსულად: кто её уневестит брачному черртогу Христа? მაშასადამე, აქ მოცემულია ერთ-ერთი საბუთი იმისა, რომ ხოტბაში ქალიცაა შექებული.

ეკლესიის ალეგორიული შეხედულებით, ქრისტეს „სასძლო“ არის სამოთხე, სასუფეველი. მაშასადამე, 95-ე სტროფში პოეტი ლაპარაკობს, პირდაპირ, თამარის სამოთხეში დამკვიდრების შესახებ; ამას გულისხმობს წინა, 94, სტროფი და ამ სტროფის (95) სიტყვები: „ედემსა, სასუფეველსა“. მეორე მხრით, ამ სტროფში ავტორი ალეგორიულად უნდა გულისხმობდეს, ჩემი აზრით, ედემისა და სასუფეველის ქვეშ, საქართველოს, თამარისათვის „პირველითგანვე სახლად გებულსა“ და „საფუფუნებლად მისთვის დასმულსა“.

7

ნესტორად მძლეობ, არა თუ ლეობ, დიმიტრის მიერ ძალ-შეზღუდვილიდ
აწე რისხვითა, აწ ერი სხვითა გზით წარუვლინოს უკუნსაქცევლად. (98, 3-4)

ჯერ ორიოდ სიტყვა ტექსტის შესახებ. უკანასკნელი სიტყვები ამ ორი ტაეპისა ოდნავ შესწორებას თხოულობს. მართლაც, ამ სტროფის (98) პირველს

#66

ორ ტაეპს აქვს რითმა ულად, (შექმნულად, დაგულად); ასეთი რითმა მოსალოდნელია ორს უკანასკნელ ტაეპშიაც. მაშასადამე, უნდა იკითხებოდეს არა „შეზღუდვილად“, არამედ „შეზღუდულად“ და არა „საქცევლად“ არამედ „ქცეულად“. ეს სხვათა შორის, ასეთი შესწორებით აზრი მაინც უცვლელი რჩება.

ეს ორი ტაეპი პირდაპირი გაგრძელებაა წინა ტაეპისა, რომელშიაც პოეტი თავის

გმირს უწოდებს არა მარტო „ნეტარს და წმიდანს“ არამედ აგრეთვე ძლიერსა და გულადს. ეს გმირი „ძალზეზღუდულია“, ესე იგი, როგორც პროფ. ვ. ბერიძემ გაარკვია²⁸ გამაგრებულია დიმიტრის მიერ; ის კი არ „ლეობს“ არამედ იბრძვის და სძლევს მოწინააღმდეგეს, როგორც ნესტორი.

ვინ არიან ეს ნესტორი და დიმიტრი, რას ნიშნავს სიტყვა „ლეობს“? ძალიან საინტერესოა ისტორია ამ სახელებისა, და სიტყვის ინტერპრეტაციისა ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში. ნესტორი ნ. მარისათვის უცნობი პირია, ის ღიად სტოვებს საკითხს მისი ვინაობის შესახებ. „ლეობს-ლეობა“, მისი გაგებით, ნიშნავს *быть львом* (სტრ. რმწ), ხოლო დიმიტრი მას მიაჩნია დავით აღმაშენებლის შვილად (სტრ. 23). მ. ჯანაშვილის აზრით, რომელსაც იზიარებს ა. ბარამიძე²⁹, ნესტორი არის ილიადის გმირი, ძე ნელეისა პილოსელი მესინიდან; მან მოხუცებულობაში 90 წავით მონაწილეობა მიიღო ტროადელთა ომში და უკეთესი მრჩევლის სახელი მოიხვეჭა. რის გამო ნესტორობა ნართაულ სახელად გადაიქცა ყველა გამოცდილი კაცისათვის. „ლეობა“ მისი სიტყვით არის „პირველობა მორთვით, ცხოვრებით, ქცევით, ხოლო დიმიტრი არის დემნა, თამარის ბიძაშვილი, ტახტის მემკვიდრე, რომელსაც თამარმა სძლია ნესტორივით და არა ლეობით“ (გვ. 57). ს. კაკაბაძის გაგებით, ნესტორი არის მეფე პილოსის უკანასკნელი შვილი, რომელიც გადაურჩა ჰერკულესს და რომელიც ბერძნულ პოეზიაში ცნობილი იყო თავისი სიბრძნით და მჭევრმეტყველებით. „ილეობა“ ნიშნავს ლეონად (ლომად) ყოფნას, ხოლო დიმიტრი მისთვისაც უცნობი პირია (გვ. 59–62). შ. ნუცუბიძე პირდაპირ აცხადებს: *строфа не поддаётся толкованию* (სტრ. 134) მაგრამ მიუხედავად ამისა, ის მაინც იძლევა თარგმანს, ისეთს თარგმანს, რომელსაც, გარდა საკუთარი სახელებისა. არაფერი საერთო არ აქვს დედანთან:

Нестора митра, но не Димитра,

Или же Лео знак беспечности.

²⁸ „ზღუდე“ სიტყვისა და მისგან ნაწარმოებ „ზეზღუდულის“ მნიშვნელობის ევოლუციისათვის (იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, გვ. 347–354).

²⁹ ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I², გვ. 120 145–146, 1945 წ.

ყველაფერი ეს საკმაოდ დაშორებულია სინამდვილისა და ჭეშმარიტებისაგან. ამ ტაეში გამოყენებულია ერთი აგიოგრაფიული ნაწარმოები, რომელსაც ეწოდება „წამება დიმიტრი სოლუნელისა“ ან თესალონიკელისა³⁰. ეს

#67

თხზულება ქართულ თარგმანში სამი რედაქციითაა ცნობილი. პირველი, ყველაზე ძველი, დღეს დეფექტური. რედაქცია მოთავსებულია მეთერთმეტე საუკუნის პირველი წლების, ხელნაწერში H 341, გვ. 49-59; მეორე, რომელიც ახლო დგას ამ რედაქციასთან, ეკუთვნის ექვთიმე ათონელს (გელათ. ხელნ. 4, ფ. 588-593, 602 -621); მესამე-სვიმეონ მეტაფრასტისა, ეფრემ მცირის მიერ გადმოღებული (S 1276, ფ. 273 - 293, იერუს. 37, ფ. 123-131).

დიმიტრი იყო მაქსიმიანე იმპერატორის სახელგანთქმული მხედარი; სანამ მას ქრისტიანობას გაუგებდნენ, დიდს პატივში იყო, მერე კი საპყრობილეში შეაყენეს. მაქსიმიანეს, რომელიც უდანაშაულო ადამიანთა, უფრო კი ქრისტიანთა. სისხლის ღვრით ერთობოდა ხოლმე, ჰყავდა ერთი გოლიათი ბარბაროზი, რომელიც, აკმაყოფილებდა მის მხეცურ მოთხოვნილებას; მას, წარმოშობით ვანდალს, სახელად ერქვა, ბერძნული გამოთქმით, რომელიც ეფრემ მცირესაც დაუცავს, λυαιος- ლვეოს, ხოლო უძველესი ქართული თარგმანით-ლეონ (H 341, გვ. ნპ 53-54). ერთხელ, დამთვრალი ადამიანთა სისხლით, ის ავიდა მაღალს, ფიცართაგან შემზადებულ, ქანდარაზე და მაქსიმიანესა და უამრავ მაყურებელთა თანდასწრებით ტრაბახით, ქაღებიტ და ზვიადობით მიმართა ხალხს: აბა, თუ ვისმე შეგიძლია, გამოდი ჩემს წინააღმდეგო! ვერავინ ბედავდა შებმოდა მას. მაქსიმიანეს ჯარში იყო ერთი ახალგაზრდა მხედარი, სახელით ნესტორ, რომელიც საიდუმლო ქრისტიანი იყო და ამასთანავე მეგობარი და „სულიერი შვილი“ დიმიტრისა. ის მივიდა დიმიტრასთან და უთხრა: მე შევებმები ლეონს, „უკუეთუ ოდენ შენ შემჭურო მე ლოცვითა“.

³⁰ Migne, Patr. Graeca, t. 116, col. 1082-1426.

დიმიტრიმ მოუწონა განზრახვა აღბეჭდა ბეჭდითა მით ქრისტესითა პირი და გული მისი და უშიშოებაჲ შეჰმოსა სულსა მისსა“. ნესტორი ავიდა ქანდარაზე, გამოიწვია ბრძოლაში ლეონი და, რადგანაც მისი „სიმანე დიმიტრის სიტყუანი იყვნეს“, „სცა სასიკუდიინედ ლახურითა გულსა ბარბაროზისასა და მყის მოაკუდინა იგი სიკუდილითა განცხადებულითა“. მაქსიმიანეს შეკითხვაზე-რომელი გრძნებით მოჰკალი შენ ესეთი ახოვანი კაციო, ნესტორმა უპასუხა: „არავინ არს თანაშემწე ჩემი, გარნა ხოლო ღმერთი დიმიტრისი“ (S 1276, გვ. 511-516), ამის შემდეგ სიკვდილით დასაჯეს როგორც დიმიტრი, ისე ნესტორი. პირველის ხსენება დადებულია ეკლესიაში 26 ოქტომბერს, ხოლო მეორესი 27-ს.

აი ეს პირნი და მათი თავგადასავალი იგულისხმება ამ ტაეჰში. შენო, მიმართავს პოეტი თავის გმირს, კი არ „ლეობ“, ესე იგი-ლეონს კი არ ბაძავ, არამედ იბრძვი და სძლევე როგორც ნესტორი, რომელიც დიმიტრის მიერ იყო გამაგრებული და გამხნევებული. ასეთი ანალოგია დასახელებული აგიოგრაფიული ძეგლიდან ჩვენ სხვა თხზულებებშიც გვხვდება: გრიგოლ დოდორქელის თხზულებაში „წამება ქეთევან დედოფლისა“ თეიმურაზ I, შაჰაბაზთან შებრძოლების წინ, ეუბნება თავისიანებს: „მე განმზადებული ვარ წყობად უსჯულოთა მათ სარკინოზთა, ვითარცა მოწამე ქრისტესი ნესტორ ლეოსა ზედა“...

ჩვენ ამდენხან ვვარაუდობდით, რომ შავთელს მხედველობაში ჰყავდა დავით აღმაშენებელი, რომელსაც მის სამხედრო საქმიანობაში შველოდა და ზურგს უმაგრებდა მისი შვილი დიმიტრი. ეს ვარაუდი ახლა საბოლოოდ გამართლდა. თავისი გმირების თვისებათა აღსანიშნავად შავთელი ხშირად ანალოგიებს მიმართავს ხოლმე. ანალოგია თავის მნიშვნელობას კარგავს, თუ შესატყვისობა არაა ორ მოვლენასა და საგანს შორის. როგორ გვაქვს საქმე ამ შემთხვევაში? ბარბაროზები (ლეო) ებრძვიან ქრისტიან ქართველებს (ნესტორ, დავით); ბარბაროზებს იმედი აქვთ მხოლოდ თავისი იარაღისა და ძლისა, ქრისტიან ქართველებს, იარაღის გარდა-ღვთის შეწევნისაც. როგორც დიმიტრი უმაგრებდა გვერდს ბარბაროზთან ბრძოლაში მის „სულიერ შვილსა“ ნესტორს ისე დავითს გვერდს უმაგრებს და შველის

ბარბაროსებთან ბრძოლაში მისი „შვილი“ დიმიტრი. ანალოგია ჩვენს პოეტს თავისი გმირების „სეხნასა“ მოძებნამდეც კი უნდა დაიყვანოს (20,2), ეს მან საანალიზო ტაეპში ვირტუოზულად მოახერხა, როდესაც დავითის დამხმარეს დიმიტრის ანალოგია მოუპოვა მისი სეხნას დიმიტრი სოლუნელის პიროვნებაში.

როგორია აზრი საანალიზო სტროფის უკანასკნელი ტაეპისა: „აწე რისხვითა, აწერი სხვითა გზით წარუვლინოს უკუნ-ქცეულად“? ნ. მარი ამ ტაეპს შემდეგნაირად თარგმნის: теперь с гневом (на врагов) пусть ведёт он свой народ иным путём, чтобы рассеять мрак (Одописцы, стр.7). შ. ნუცუბიძე თარგმნის: Новый для рати путь благодати в том, чтобы осилить тьму кромешную. ამ ორ თარგმანს ანათესავებს ერთმანეთთან დაშორება დედნისაგან და ერთნაირი არასწორი გაგება სიტყვისა „უკუნ-საქცევლად“ თუ „უკუნქცეულად“: პირველი ნაწილი ამ კომპოზიტიკისა („უკუნ“) გაგებულია ორივე მთარგმნელის მიერ როგორც мрак და тьма кромешная, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება.

ტაეპის აზრი ასე უნდა გადმოიცეს: ახლა ის, დიმიტრი, განრისხებული, სხვა გზაზე დააყენებს მტრის ჯარს და უკუაქცევს მას. ამ სიტყვების გასაგებად გასაღებს იძლევა იგივე აგიოგრაფიული ძეგლი. დიმიტრის სოლუნელის „სასწაულებში“ გადმოცემულია შემდეგი: მავრიკი იმპერატორის დროს (VI ს.) ავარებისა და სკლავების შეერთებულმა ჯარმა ბიზანტიელებს მოსთხოვა დიდი გადასახადი, რაზედაც უარი მიიღო. მტრებმა სოლუნს ალყა შემოარტყეს, მდგომარეობა კრიტიკული იყო უცბად დღისით, ყველას დასანახად, ქალაქის კედელზე გამოჩნდა შეიარაღებული, მრისხანე მხედრის სახით, წმ. დიმიტრი, რომელიც მუსრს ავლებდა მოწინააღმდეგეს. ეს რომ დაინახეს ქალაქის მცხოვრებლებმა გამხნევდნენ და უფრო მედგრად შეუტყეს მტრებს. ხოლო უკანასკნელთ შიშის ზარი დაეცათ და, შვიდი დღის უშედეგო ალყის შემდეგ, უკუნიქცნენ, დაიფანტნენ და სხვადასხვა გზით გადაიხვეწნენ.³¹

ალბათ პოეტს მხედველობაში აქვს დავითისა და დიმიტრის სამხედრო

³¹ Migne, Patr. Graeca, t. 116, col. 1280 et pass.

საქმიანობის ერთ-ერთი ეპიზოდი.

მე განვიხილე „აბდულმესიანის“ შვიდი ტაეპი. როგორც დავინახეთ, ამ ტაეპების საკუთარი სახელები და მხატვრული სახეები ამოღებულია ბიბლიიდან და საეკლესიო-ქრისტიანული მწერლობიდან. ეს გარემოება დამახასიათებელია ჩვენი პოეტისათვის, კერძოდ მისი სოფლმხედელობისათვის; მაგრამ ახლა ამაზე სიტყვას არ გავაგრძელებ. დავინახეთ აგრეთვე ისიც, თუ რა მდგომარეობაშია ტექსტი ნაწარმოებისა, მის აღდგენასა და გააზრებაზე კიდევ გვჭირია მუშაობა.